F2031

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ქვირა 10 მარტი 1940 წ.

№ 57 (5758)

ფასი 10 კაპ.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტები — ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

თქვენი დაბადების 50 წლისთავზე საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტები მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გითვლიან თქვენ — ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, ბოლშევიკური პარტიის ერთერთ ხელმძღვანელს, საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელს.

მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრების მანძილზე თქვენ თავდადებით ემსახურებით მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხის დიად საქმეს, სოციალისტური რევოლუციის საქმეს.

პარტია მუდამ გვაზავნიდათ თქვენ უძნელეს უბნებზე, სადაც საჭირო იყო შეუდრეკელი ნებისყოფა, გამარჯვების რწმენა, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად ცოდნა, ბოლშევიკური ორგანიზატორული უნარი. თქვენ იყავით ბოლშევიკური „პრავდის“ ერთერთი ორგანიზატორი, ბოლშევიკური პარტიის ერთერთი ხელმძღვანელი მოღვაწე 1917 წელს, ლენინისა და სტალინის უახლესი თანამშრომელი ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და განხორციელების და მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობის საქმეში. თქვენში განსახიერებულია ლენინ-სტალინის ტიპის პოლიტიკური მოღვაწის საუკეთესო თვისებანი.

1918-19 წლების პეტროგრადის, ვოლგისპირა მხარეს, დონბასს, უკრაინას უნახავთ თქვენი მუშაობა უმძიმეს დღეებში. თითქმის ათ წელიწადს მუშაობდით თქვენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ეს წლები მდიდარი იყო უმაგალითო მასშტაბის ისტორიული ამბებით და აღსავსე იყო ბრძოლით ტროცკისტების, ბუხარინელებისა და ჩალხის სხვა მტრების — ბურჟუაზიის აგენტების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ შიგნიდან გამოეთხარათ ძირი პარტიისათვის და დაეღუპათ საბჭოთა ხელისუფლება.

პარტიის მიერ მემარჯვენე კაპიტულანტებთან წარმოებული ბრძოლის პერიოდში, როცა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ზოგიერთ რგოლში მოკალათებული იყვნენ მემარჯვენე გარეწარნი, პარტიამ გაგზავნათ თქვენ, ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, მოსკოვის კომიტეტში დედაქალაქის ორგანიზაციისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად. თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით გაანადგურა მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ მემარჯვენე კაპიტულანტები, განამტკიცა თავისი რიგები და კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

1930 წლიდან, საბჭოთა მთავრობის მეთაურის მაღალ პოსტზე, თქვენ განუხრელად ახორციელებთ პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ნება-სურვილს, და იჩენთ სახელმწიფო მოღვაწის კოლოსალურ ნიჭს.

საერთაშორისო ვითარების უკიდურესად გამწვავების მომენტში პარტიამ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელის მოვალეობა დაგაკისრათ, და ამ პოსტზე თქვენ ერთგული გამტარებელი ხართ მშვიდობიანობის სტალინური პოლიტიკისა.

თქვენ, როგორც სოციალისტური მშენებლობის ერთერთი უნიჭიერესი ხელმძღვანელი, დაუღალავად მუშაობთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითს გამდიდრებაზე.

თქვენი დაბადების 50 წლისთავზე სავსებით გაფურჩქნილია თქვენი შემოქმედებითი ძალები, აღჭურვილი ხართ დიდი ბრძოლის გამოცდილებით, გარემოკული ხართ ხალხის მასების მხურვალე სიყვარულით.

მთელ პარტიასთან ერთად, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად მოსკოველი ბოლშევიკები და მოსკოვისა და მისი ოლქის ყველა მშრომელნი მთელი სულითა და გულით გისურვებენ მრავალ წელს ჯანმრთელობას, მხნეობასა და ნაყოფიერ მუშაობას პარტიის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტები.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს

ძვირფასო ამხანაგო მოლოტოვ!

თქვენი დაბადების 50 წლისთავზე საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტები, ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მშრომელთა სახელით, ბოლშევიკურ სალამს გითვლიან თქვენ და გისურვებენ მრავალ და მრავალ წელს ჯანმრთელად ყოფნას მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიხარულოდ.

თქვენი ცხოვრების თითქმის ოცდათხუთმეტი წელი მოჰხმარდა მუშათა კლასის საქმეს, მშრომელი ხალხის საქმეს.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, თქვენ თვითმპყრობელური წეს-წყობილების მძიმე პირობებში დაუღალავად რაზმავდით ბოლშევიკური პარტიის რიგებს.

ლენინგრადის კომუნისტები ამაყობენ იმით, რომ თქვენ, ამხანაგო მოლოტოვ, ცარიზმთან რევოლუციური ბრძოლის წლებში და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში პეტროგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი იყავით.

თქვენ, ამხანაგო მოლოტოვ, მუდამ მაღლა გეჭირათ ჩვენი პარტიის დროშა, მტკიცედ იცავდით და იცავთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდეს.

თქვენი რევოლუციური მოღვაწეობის პირველივე ნაბიჯებიდან თქვენ განუხრელად იბრძოდით ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ. თქვენ დაუზოგავად ანადგურებდით ლიკვიდატორებს, ოტზოვისტებს, მენშევიკებს და კონტრრევოლუციის ყველაზე უფრო უტიფარ აგენტურას — ტროცკისტებს, ზინოვიეველებსა და ბუხარინელებს.

ბოლშევიკური პარტიის XIV ყრილობის დღეებში, როცა ერთმა მუჭა საზიზღარმა გამცემლებმა, ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბანდის სახით, სცადეს მოტყუების გზით მოკალათებულიყვნენ ლენინგრადში, თქვენ, ამხანაგო მოლოტოვ, ასრულებდით რა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებას, დაეხმარეთ ლენინგრადელებს ემხილებინათ და გაენადგურებინათ პროვოკატორთა ეს უსაზიზღრესი ბანდა.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური ხაზის განუზომლად განამტკიცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი და მსოფლიო მნიშვნელობა.

თქვენს სახელთან არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების უძლეველობა, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა საგმირო საქმენი.

თქვენ მიერ დასახული ამოცანა მძლავრი საზღვაო და საოკეანო ფლოტის მშენებლობისა განუხრელად ხორციელდება. ამ გიგანტურ მშენებლობაში მთელი საბჭოთა ხალხი მონაწილეობს. სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის, მისი კადრებისათვის თქვენი ყოველდღიური მზრუნველობა იმის საიმედო საწინდარია, რომ ეს მუშაობა ღირსეულად, მთლიანად და ვადაზე იქნება შესრულებული.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თქვენ ნიჭიერად ხელმძღვანელობთ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, სახალხო მეურნეობის განვითარების, საბჭოების დიდი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტისა და ძლიერების განმტკიცების სტალინური გეგმების განხორციელებას.

გისურვებთ ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, მრავალი წლის ნაყოფიერ მუშაობას ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიხარულოდ.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტები.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს

წითელი არმიის მთავარი სამხედრო საბჭოსაგან

მთავარი სამხედრო საბჭო წითელი არმიის სახელით თავის წითელარმიულ სალამს გიძღვნით და გულმხურვალედ გილოცავთ თქვენ, ლენინისა და სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო.

ლენინთან და სტალინთან ერთად თქვენ ამხანაგო მოლოტოვ აშენებდით ბოლშევიკების ძლიერ პარტიას, მათთან ერთად მიუძღოდით პარტიასა და ხალხს ბრძოლაში შეიარაღებული აჯანყების მოსახდენად 1917 წლის ოქტომბერში და პროლეტარიატის დიქტატურის მოსაპოვებლად.

სამოქალაქო ომის წლებში პოლიტიკური განათლება შეგქონდათ წითელ არმიაში, თქვენ სჩედავდით გამარჯვებას სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

წითელი არმიის შექმნის პირველი დღეებიდან თქვენ მისი საყვარელი მეგობარი გახდით. წითელი არმიის მიმართ თქვენმა, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის, დაუღალავმა ხელმძღვანელობამ და მისთვის სტალინურმა ზრუნვამ უზრუნველჰყვეს მისი სიმტკიცე და გამანადგურებელი ძლიერება ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენი ბოლშევიკური პარტიისა და სოციალისტური სამშობლოს მტრებისადმი თქვენი ულმობელობა ყველა ეტაპზე მაგალითია წითელი არმიის ყოველი მებრძოლისა, მეთაურისა და პოლიტმუშაკისათვის.

თქვენს სახელთან, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის სახელთან, დაკავშირებულია დიდი ისტორიული გამარჯვებანი ჩვენს ქვეყანაში და სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება.

თქვენი, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის, ბრძანებით წითელმა არმიამ 1939 წლის 17 სექტემბერს ლოზუნგებით — „სამშობლოსათვის“, „დიდი სტალინისათვის“ გაანადგურა მკვეხარა თეთრი პანების ხროვა და გაათავისუფლა 13 მილიონი ჩვენი თვისტომი — დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მცხოვრებნი.

ამჟამად ლენინგრადის სამხედრო ოლქის მებრძოლნი, იცავენ რა ჩვენი სამშობლოს ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვარს და სპობენ რა იმპერიალისტური ომის კერას, საბჭოთა მთავრობის ბრძანებით ასევითვე სიძლიერით ანადგურებენ მანერჰაიმელთა ჯარს.

თქვენი დაბადების სახელოვანი ორმოცდაათი წლისთავზე ამხანაგო **მოლოტოვ,** გისურვებთ მრავალ და მრავალ წელს სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

მთავარი სამხედრო საბჭო.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი სამხედრო საბჭოსაგან

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

მთავარი სამხედრო საბჭო სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელფლოტელების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების სახელით თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე წითელფლოტურ სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობს, ამხანაგო სტალინის უახლოეს თანამოღვაწესა და მეგობარს.

მთელს თქვენს სიცოცხლესა და მთელს ძალღონეს თქვენ ახმარებთ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი თავდადებულ სამსახურს.

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით თქვენ, მის საუკეთესო თანამებრძოლსა და მეგობარს, ჩვენი ქვეყნის ხალხები ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ მიგყავთ. თქვენს სახელთან არის დაკავშირებული დიადი მრავალერიანი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და მეგობრობის უდიდესი ზრდა, ბოლშევიკური პარტიის გარშემო მისი დარაზმვა, საბჭოთა მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების უმაგალითო აყვავება.

სამხედრო - საზღვაო ფლოტის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები თქვენი თეორიული შრომებით სწავლობენ, თუ როგორ უნდა იმარჯვებდნენ.

თქვენმა დაუღალავმა პარტიულმა და სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ საბჭოთა სახელმწიფო იმდენად განამტკიცა, რომ მისი სიმტკიცე და უძლეველობა ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანას შეუშურდებოდა.

სტალინური საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად თქვენ მიერ გაწეულმა მუშაობამ უზრუნველჰყო მტკიცე მშვიდობიანობა ევროპის აღმოსავლეთში, მეგობრობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან, განუზომლად განამტკიცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი და მსოფლიო მნიშვნელობა.

თქვენს სახელთან არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების უძლეველობა, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა საგმირო საქმენი.

თქვენ მიერ დასახული ამოცანა მძლავრი საზღვაო და საოკეანო ფლოტის მშენებლობისა განუხრელად ხორციელდება. ამ გიგანტურ მშენებლობაში მთელი საბჭოთა ხალხი მონაწილეობს. სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის, მისი კადრებისათვის თქვენი ყოველდღიური მზრუნველობა იმის საიმედო საწინდარია, რომ ეს მუშაობა ღირსეულად, მთლიანად და ვადაზე იქნება შესრულებული.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თქვენ ნიჭიერად ხელმძღვანელობთ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, სახალხო მეურნეობის განვითარების, საბჭოების დიდი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტისა და ძლიერების განმტკიცების სტალინური გეგმების განხორციელებას.

გისურვებთ თქვენ, ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, მრავალი წლის სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიხარულოდ და საკეთილდღეოდ.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი სამხედრო საბჭო.

საკ. აღკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

ლენინურ-სტალინური კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა თქვენი დაბადების 50 წლისთავზე მგზნებარე კომკავშირულ სალამს გიძღვნით თქვენ—დიდი საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს, ძეუდრეკელ ბოლშევიკს, მუშათა და გლეხთა ძლიერი სახელმწიფოს სახელოვან ხელმძღვანელს!

საბჭოთა ახალგაზრდობა მთელ ხალხთან ერთად ამაყობს, რომ სახელმწიფოს საჭეს უდგეხართ თქვენ—ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლი, მასებთან ათასი ძაფით დაკავშირებული, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში ბრძენი და აუჩქარებელი, მშრომელთა საჭიროებისადმი გულისხმიერი და გულშემატკივარი და ხალხის მტრებისადმი ულმობელი ადამიანი.

საბჭოთა ახალგაზრდობა დიდად აფასებს თქვენს მზრუნველობას მოზარდი თაობისათვის, თქვენს ყურადღებას კომუნისტური საზოგადოების ნორჩ მშენებელთა ცხოვრების, სწავლებისა და აღზრდის დიდი და „პატარა“ საკითხებისადმი.

საბჭოთა ახალგაზრდობა, დიდი სტალინის მიერ მზრუნველობით გამოზრდილი, სწავლობს თქვენგან მუშაობის სტალინურ სტილს, თავმდაბლობასა და გულისხმიერებას, თავისი ხალხის სიყვარულსა და ერთგულებას. ჩვენ გვიყვარს ჩვენი უძლეველი კეთილშობილი ხალხი, ჩვენი მშობლიური დედა—სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), საბჭოთა მთავრობა და ყველანი, როგორც ერთი კაცი, მკერდით დავიცავთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

გისურვებთ თქვენ, ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, მრავალი წლის სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიხარულოდ და საკეთილდღეოდ.

ახალგაზრდობის სრულიად-საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს

ძვირფასო ამხანაგო მოლოტოვ!

თქვენი დაბადების 50 წლისთავზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ძველი ბოლშევიკური გვარდიის გამოჩენილ წარმომადგენელს, ლენინის ერთგულ მოწაფეს, ამხანაგ სტალინის უახლოეს თანამებრძოლს.

თქვენი 35 წლის აქტიური რევოლუციური მოღვაწეობა წარმოადგენს კომუნიზმის საქმისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს, ბოლშევიკური პარტიის ხაზისათვის ბრძოლაში ბოლშევიკური პარტიულობისა და ურყევი სიმტკიცის ნიმუშს, მუშათა კლასის ყველა მტრისადმი მებრძოლი შეურიგებლობის ნიმუშს.

უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი გისურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას მრავალი და მრავალი წლის განმავლობაში და შემდგომ წარმატებას თქვენს დაუღალავ და კეთილშობილურ ბრძოლაში სსრ კავშირის ყველა ხალხის ბედნიერების აყვავებისათვის, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უკვდავი მოძღვრების გამარჯვებისათვის.

უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

მოსკოვი, კრემლი — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ძველი ბოლშევიკური გვარდიის გამოჩენილ წარმომადგენელს, ლენინის ერთგულ მოწაფეს, ამხანაგ სტალინის უახლოეს თანამებრძოლს.

თქვენი რევოლუციური მოღვაწეობის პირველივე ნაბიჯებიდან თქვენ განუხრელად იბრძოდით ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ. თქვენ დაუზოგავად ანადგურებდით ლიკვიდატორებს, ოტზოვისტებს, მენშევიკებს და კონტრრევოლუციის ყველაზე უფრო უტიფარ აგენტურას — ტროცკისტებს, ზინოვიეველებსა და ბუხარინელებს.

ბოლშევიკური პარტიის XIV ყრილობის დღეებში, როცა ერთმა მუჭა საზიზღარმა გამცემლებმა, ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბანდის სახით, სცადეს მოტყუების გზით მოკალათებულიყვნენ ლენინგრადში, თქვენ, ამხანაგო მოლოტოვ, ასრულებდით რა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებას, დაეხმარეთ ლენინგრადელებს ემხილებინათ და გაენადგურებინათ პროვოკატორთა ეს უსაზიზღრესი ბანდა.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური ხაზის გამარჯვების უზრუნველყოფაში თქვენ, ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, საპატიო როლი გეკუთვნით.

ახ უკვე ათი წელიწადია, რაც თქვენ საბჭოთა მთავრობას მეთაურობთ, ხოლო უკანასკნელ წლებში უშუალოდ ხელმძღვანელობთ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკასაც. თქვენს სახელთან, ამხანაგო მოლოტოვ, დაკავშირებულია უდიდესი წარმატებანი ჩვენი ქვეყნის შინაური ცხოვრებისა და სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის ყველა ფრონტზე.

ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების საქმესთან დგას ბოლშევიკების პარტიის ასეთი შვილი, რომლის შესახებ შეგვიძლია ამაყად ვთქვათ — ეს არის ლენინ-სტალინის ტიპის ნამდვილი მოღვაწე.

ლენინგრადელებს უყვარხართ თქვენ, ამხანაგო მოლოტოვ, გულწრფელად უყვარხართ ლენინგრადელთათვის თქვენი მამობრივი მზრუნველობის გამო. ბოლშევიკების დიადი პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი სიყვარულს ლენინგრადელები ამტკიცებენ მუყაითი, შემოქმედებითი მუშაობით ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული ძლიერების განმტკიცებისათვის, მძლავრი ტექნიკის შექმნისათვის, რომლის შემწეობითაც მამაცი წითელი არმია ანადგურებს თეთრფინელთა ბანდებს, სპობს ომის უსაშიშარს კერას სოციალიზმის ქვეყნის ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვრებზე.

სიტყვას გაძლევთ, ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, რომ ლენინგრადელები მომავალშიაც იდგებიან კომუნიზმისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

დღეს, თქვენი დაბადების 50 წლისთავზე, ჩვენი სამშობლოს ბედნიერი ხალხი სიხარულით გადღეგრძელებთ თქვენ, პარტიის, სოციალისტური სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ლენინ-სტალინის საქმისათვის მამაც მებრძოლს.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიის სახელოვან შვილს — საბჭოთა მთავრობის მეთაურს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს!**

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

გაიხსნება 15 მარტს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში.

ყრილობის დღის წესრიგი:

1. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში — მომხსენებელი ამხ. კ. ჩარკვიანი.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი ამხ. ნ. ჩარკვიანი.
3. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.
4. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ჩარკვიანი**

ყრილობის დელეგატებზე მანდატების გაცემა იწარმოებს 13 და 14 მარტს დილის 10 საათიდან საღამოს 12 საათამდე და 15 მარტს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე საორგანიზაციო კომისიაში (შიო ჩიტაძის ქუჩა, № 5. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შენობის პირდაპირ).

საორგანიზაციო კომისიის ტელეფონები: 3—66—20 და 3—19—82.

ისტორიული ყრილოგის წლისთავი

ერთი წლის წინათ სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქში—მოსკოვში შეიკრიბა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის XVIII ყრილობა. ეს იყო უდიდესი მოვლენა მთელი ჩვენი პარტიის, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, უდიდესი მოვლენა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში.

ბოლშევიკების ეს ყრილობა ისტორიაში შევიდა, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის ყრილობა, როგორც სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ მობრუნების ყრილობა, რომელმაც სტალინური სიზუსტით განსაზღვრა პარტიის პოლიტიკური, სამეურნეო და ორგანიზაციული ამოცანები და დაგვისახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიადი და ძლევამოსილი გზა.

ამ ისტორიული ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან დიდმა სტალინმა წარმოსთქვა სიბრძნით აღსავსე, უბადლო მოხსენება, რომელშიც კლასიკური სიღრმითაა ასახული სოციალიზმის ქვეყნის დიადი გამარჯვებები და მისი შემდგომი აყვავების გრანდიოზული პერსპექტივები.

ამ ისტორიულმა ყრილობამ განიხილა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც უდიდესი ერთსულოვნობით იქნა დამტკიცებული.

ამ ისტორიულ ყრილობაზე მოსმენილ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში შესატანი ცვლილებათა შესახებ და ამავე ყრილობაზე მიიღეს ჩვენი პარტიის მძლავრი ორგანიზაციული იარაღი — პარტიის ახალი წესდება.

მთელ თავის ისტორიაში პარტიას არცერთ ყრილობაზე არ ახსოვს ისეთი უმაგალითო ერთსულოვნობა, როგორიც იყო ამ ყრილობაზე, ისეთი ბრწყინვალე დემონსტრაცია ერთიანობისა და დარაზმულობისა, როგორც XVIII ყრილობაზე.

ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი ხალხები XVIII ყრილობის დიადი იდეებით და დიდი სტალინის ბრძნული მითითებებით გამსჭვალულნი შეუდგნენ ბრძოლას სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებისათვის — ეს ამოცანა, როგორც ვიცით, მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიურადაც გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, უფრო ხვავიანი და ბარაქიანი გავხადოთ ჩვენი დიდებული სამშობლო.

საერთაშორისო ვითარების ბრძნული სტალინური ანალიზი, რომელიც ყოცმული იყო ამხანაგ სტალინის გენიალურ მოხსენებაში, ბრწყინვალედ დადასტურდა.

სტალინური საერთაშორისო პოლიტიკის თანმიმდევრობით გატარებამ უზრუნველყო მეგობრული ურთიერთობის დამყარება გერმანიის ხალხთან; ამ პოლიტიკის გატარებამ უზრუნველჰყო დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხის განთავისუფლება პოლონელი პანების ჩაგვრისაგან; ამ პოლიტიკას ატარებს ჩვენი სახელოვანი წითელი არმია თეთრფინელებთან გმირულ ბრძოლებში — ანთავისუფლებს რა ფინეთის ხალხს მანერჰაიმელთა საშინელი ჩაგვრისაგან.

პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგ სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ, რომელიც წარმოადგენს უძვირფასეს განძს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში, ახალი მოძღვრებით შეაიარაღა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები. დიდმა სტალინმა თავის მოხსენებაში მოგვცა მოძღვრება სოციალისტურ სახელმწიფოსა და საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ.

XVIII ყრილობამ მთელს პარტიას, მთელს საბჭოთა ხალხს მისცა ჭოლოსალური ძალის თეორიული იარაღი. ამ იარაღით იბრძვის ჩვენი გმირული ხალხი მესამე სტალინური ხუთწლედისათვის, რომელიც წარმოადგენს გადამწყვეტ ეტაპს სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებაში.

ფასდაუდებელია პარტიის XVIII ყრილობის მნიშვნელობა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ახალ სფეხურზე აყვანის საქმეში. ამხანაგ სტალინის მოხსენებამ გაამდიდრა ბოლშევიზმი ახალი აღმოჩენებით, წინ წასწია მარქსისტულ-ლენინური თეორია, უზრუნველჰყო პარტიული პროპაგანდის უმაგალითო გაქანება.

ჩვენი პარტია, განუხრელად ახორციელებდა რა ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებებს საშინაო პოლიტიკის დარგში, დღითიდღე აღწევდა ახალ-ახალ გამარჯვებებს. ამ გამარჯვებებს შორის ყველაზე საგულისხმოა სრული დემოკრატიზაცია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში, ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა, მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის ყოველდღიურად გაუმჯობესება, კადრების სწრაფი ზრდა, მათი გაბედული დაწინაურება ხელმძღვანელ პოსტებზე და ა. შ.

საქართველოს ბოლშევიკები ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობის წლისთავს აღნიშნავენ სერიოზული გამარჯვებებით. ხელმძღვანელი პარტორგანოების ანგარიშგება-არჩევნებმა, რომლებიც მიდინარეობდნენ XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების ნიშნის ქვეშ, მთელი სიცხადით გვიჩვენეს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცება, კომუნისტთა ავანგარდული როლის ზრდა, მათი დარაზმულობა და მზადყოფნა იბრძოლონ გრანდიოზულ ამოცანების შესრულებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკები, აღზრდილნი ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მიერ კომუნიზმის მტრებთან შეუურიგებელ ბრძოლაში, დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით, შემჭიდროებული რიგებით და ერთიანი ფიქრებით მოდიან თავიანთ XIII ყრილობაზე.

საქართველოს ბოლშევიკებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ XVIII ყრილობისადმი, დიდი სტალინისადმი დაპირებები უდიდესი წარმატებით ხორციელდება.

XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და დიდი **სტალინის** ბრძნული მითითებებით შეიარაღებული ქართველი ხალხი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს მოიპოვებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენზურა ნებადართულია

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქ. ტაგანროგის ქარხანა „წითელი ჰიდროპრესისათვის“ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის დარქმევის შესახებ

დაკმაყოფილდეს ქარხანა „წითელი ჰიდროპრესის“ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივის შუამდგომლობა და დაერქვას მას ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ქარხანა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წლის 8 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სმოლენსკის სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებლისათვის და გორკის საზენიტო არტილერიის სასწავლებლისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის დარქმევის შესახებ

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად დარქმევას ამხ. მოლოტოვის სახელი:

1. სმოლენსკის სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებელს.
2. გორკის საზენიტო არტილერიის სასწავლებელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წლის 8 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კიროვის ოლქის ქ. ნოლინსკისა და ნოლინსკის რაიონის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სურვილი და დაერქვას ქალაქ ნოლინსკს ქალაქი მოლოტოვსკი, ხოლო ნოლინსკის რაიონს—მოლოტოვის რაიონი.

დაკმაყოფილდეს კიროვის ოლქის ქ. ნოლინსკისა და ნოლინსკის რაიონის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სურვილი და დაერქვას ქალაქ ნოლინსკს ქალაქი მოლოტოვსკი, ხოლო ნოლინსკის რაიონს—მოლოტოვის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წლის 8 მარტი.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

თქვენი დაბადების სახელოვანი ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად დაერქვას ამხ. მოლოტოვის სახელი:

1. სმოლენსკის სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებელს.
2. გორკის საზენიტო არტილერიის სასწავლებელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წლის 8 მარტი.

რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

ძვირფასო ამხანაგო მოლოტოვ!

თქვენი დაბადების 50 წლისთავზე რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო თქვენ, საბჭოთა მთავრობის მეთაურს, დიდი სტალინის სახელოვან თანამებრძოლსა და ერთგულ მეგობარს, ჩვენი ეპოქის გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწეს გიძღვნით ბოლშევიკურ სალამს და გისურვებთ მრავალ წელს ჯანმრთელობას და წარმატებას თქვენს უდიდეს შემოქმედებით მუშაობაში.

თქვენი ცხოვრება წარმოადგენს მთელი მშრომელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის, კომუნიზმის საქმისათვის გულმოდგინე შრომისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ შეუპოვრების ბრძოლის ნიმუშს.

თქვენს სახელთან დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები, თქვენ ხართ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთერთი აქტიური ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, საბჭოთა ხელისუფლების ერთერთი სახელოვანი შემქმნელი, სოციალისტური სახელმწიფოს გამოჩენილი ხელმძღვანელი.

მთელი თქვენი პრაქტიკული მოღვაწეობით, თქვენი თეორიული შრომებით, მოხსენებებითა და გამოსვლებით თქვენ გვიჩვენეთ სოციალისტური მშენებლობის უდიდესი და რთული ამოცანების დასმისა და გადაწყვეტის ნამდვილი ლენინური უნარის ნიმუშები.

უდიდესი სახელმწიფოებრივი მუშაობის მაგალითით თქვენ გვასწავლით იმას, თუ როგორ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და მისი ძლიერების გადიდების ხუთწლიანი გეგმების განხორციელების, სოციალისტური კულტურის განვითარების და სახელმწიფო აპარატის ორგანიზებისა და განმტკიცების შესახებ ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ მოცემული მითითებანი.

თქვენს სახელთან დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის დარგში, რომელიც მიმართულია მშვიდობიანობის განმტკიცებისა და ყველა იმათთან მეგობრობის დამყარებისაკენ, ვინც ისწრაფვის კეთილმეზობლური ურთიერთობა იქონიოს სსრ კავშირთან.

სსრ კავშირის მთავრობა თქვენი ხელმძღვანელობით, ამხილებს რა ომის გამჩაღებლებს, თანმიმდევრულად ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, ყოველნაირად ამტკიცებს ჩვენი სამშობლოს თავდაცვის უნარიანობას და წითელი არმიის ურყევ ძლიერებას.

მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი დიდად გაფასებთ და გულმხურვალედ უყვარხართ თქვენ, ამხანაგო მოლოტოვ, ვინაიდან მან იცის, რომ სახელმწიფო მმართველობის საქმე დიდი სტალინის საუკეთესო მეგობრისა და თანამებრძოლის ერთგულ და საიმედო ხელშია, ლენინურ-სტალინური ეპოქის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის ხელშია, იმ ადამიანის ხელშია, ვისი ცხოვრებაც მიმდინარეობს განუწყვეტელ ბრძოლაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას მრავალ და მრავალ წელს და წარმატებას იმ უდიდეს შემოქმედებით მუშაობაში, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის ეწევით.

გაუმარჯოს ბოლშევიკების უძლეველ პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს მთელი კაცობრიობის მშრომელთა ბელადს დიდ **სტალინს!**

გაუმარჯოს სოციალიზმის ქვეყნის მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს!**

რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო

ამხ. ვ. მ. მოლოტოვი თავის სამუშაო კაბინეტში (1936 წ.)

ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე

საზეიმო სხდომა დიდ თეატრში

სიხარულით და ზეიმით აღნიშნა წითელი დედაქალაქის საზოგადოებრივობამ ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე. 8 მარტს, საღამოს, დიდ თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა.

გაჩირაღდნებული დარბაზი გაჭედილია მანქანათმშენებლებით, რკინიგზელებით, ფეიქრებით, მწერლებით, მუსიკოსებით, მასწავლებლებით, მსახიობებით, დედაქალების საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენლით. მათ შორის სჭარბობენ ქალები. სადღესასწაულო ტანსამოსზე ბევრს უბრწყინავს საბჭოთა ქავშირის ორდენები და მედლები, სსრ კავშირისა და რსფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა ნიშნები.

მჭუხარე ტაში გაისმის დარბაზში, როცა პრეზიდიუმში შემოდიან საბჭოთა ქვეყნის წარჩინებული ქალები, საბჭოთა კავშირის გმირები გრიზოდუბოვა და რასკოვა, ხეთაგუროვა, პიჩუგინა, ტროიცკაია, ანგელინა, პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ამხ. ნიკოლაევა და სხვები. დამსწრენი მხურვალედ მიესალმნენ აძხანაგების **ნ. ვ. შვერნიკის, გ. მ. დიმიტროვის, ა. ს. შჩერბაკოვის, ხ. მ. ბუდიონისა** და სხვების გამოჩენას პრეზიდიუმში.

საზეიმო სხდომას ხსნის საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პოპოვი. პირველ სიტყვებს ვი უძღვნის ამხანაგ **სტალინს** — მას, ვინც ლენინთან ერთად აღზარდა ახალი ტიპის ქალი, რომელიც კომუნისტური შეგნებულობის, თავისი სამშობლოსადმი, თავისი ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულების ნიმუშებს გვიჩვენებს.

მჭუხარე ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდება. დარბაზში ჰქუხს „ვაშა“, გაისმის შეძახილი, „გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**“.

ოვაცია ახალი ძალით ჰქუხს, როცა საზეიმო სხდომის სათავეში პრეზიდიუმში ირჩევენ ამხანაგებს **სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, კალინინს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკსა და დიმიტროვს.**

სიტყვა მოხსენებისათვის ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის შესახებ ეძლევა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანს ამხ. ნიკოლაევას. მას მოჰყავს ციფრები და ფაქტები, რომელნიც ცხადჰყოფენ კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, უღრმეს განსხვავებას საბჭოთა ქალის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის თავისუფალ, სრულუფლებიან მდგომარეობასა და კაპიტალისტური ქვეყნების ქალთა ჩაგრულ მდგომარეობას შორის.

